საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 41

20 19 წ. „07“ 02

ქ. თბილისი

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის და ადმირალ მაკაროვის სახელობის ეროვნული გემთმშენებელი უნივერსიტეტის გემის ენერგეტიკული დანადგარების ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის და ადმირალ მაკაროვის სახელობის ეროვნული გემთმშენებელი უნივერსიტეტის გემის ენერგეტიკული დანადგარების ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 7 თებერვლის №11 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
ნინო ლიპარტია